ტექნოლოგიების როლი მცირე და დიდ ბიზნესებს შორის კონკურენციის რეგულირებაში

ლიკა კიბორძალიძე

აბსტრაქტი

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მცირე საწარმოებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, კონკურენცია გაუწიონ დიდ ბიზნესებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის მცირე ბიზნესების შეზღუდული ხელმისაწვდომობა ადამიანურ და ტექნოლოგიურ რესურსებზე, რაც, თავის მხრივ, მწირი ფინანსური სახსრებით არის გამოწვეული. კვლევაში განხილულია ის რეგულაციები, რომელთა აღსრულებაც აღნიშნული პრობლემების გამო რთულია მცირე ბიზნესებისთვის. სტატიაში შეთავაზებულია პრობლემების გადაჭრის თანამედროვე მეთოდი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მომსახურებათა დიგიტალიზაცია და განმეორებითი პროცესების ავტომატიზაცია განხილულია, როგორც ის ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც მცირე ბიზნესები ხელმისაწვდომად და ეფექტიანად დაძლევენ არსებულ სირთულეებს. სტატიაში ასევე განხილულია არა მარტო ის პოტენციური გამოწვევები, რომლებიც ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიების დანერგვისას შეიძლება წარმოიშვას, არამედ ამ გამოწვევათა დაძლევის მეთოდი, რომელიც ტრადიციულ ეკონომიკურ პრინციპებს ემყარება.

საკვანძო სიტყვები

მცირე ბიზნესი, ლიგალტექი, თანამედროვე ტექნოლოგიები, რეგულაციები, ავტომატიზაცია

I. შესავალი

მცირე ბიზნესების საქმიანობა ყველა ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი, განვითარებადი ქვეყნებისთვის. ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს, ხელს უშლიან მონოპოლიის ჩამოყალიბებას, ავითარებენ ადგილობრივ ბაზარს და ხელს უწყობენ ლოკალურ წარმოებას.[1] ჯანსაღი კონკურენცია დიდ და მცირე ბიზნესებს შორის ასევე ხელს უწყობს ფასების რეგულირებასაც. ერთიანობაში, მცირე ბიზნესები კრიტიკული როლის მატარებლები არიან ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. შესაბამისად, იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებსაც მცირე ბიზნესები აწყდებიან, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად ბიზნესებისთვის, არამედ მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობისთვის. საქართველოში რეგისტრირებული ბიზნესებიდან თითქმის 80% მცირე ბიზნესია[2]. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის დაწყების ბარიერები საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია[3] და მცირე ბიზნესები გადასახადების გამარტივებული ფორმებით სარგებლობენ, ისინი მაინც აწყდებიან სირთულეებს დიდი საწარმოებისთვის კონკურენციის გაწევისას. დიდ კომპანიებს შეუძლიათ, უკეთესი პირობები შესთავაზონ პერსონალს, ეფექტიანად მართონ მარაგები და რესურსები ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოიძიონ. ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობის გარდა, მცირე ბიზნესებისთვის ტექნოლოგიური რესურსებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე მცირე ბიზნესებს ურთულდებათ სხვადასხვა რეგულაციის აღსრულება. კვლევაში

---

[1] Small and Medium Enterprises (SMEs) Finance, World Bank Group, https://www.worldbank.org/en/topic/smefinance (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[2] საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომების მიხედვით, საქსტატი, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/65/sakmianobis-sakheebis-mikhedvit (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[3] ლადო სირდაძე, სტარტაპ სტატუსი და სტარტაპ ეკოსისტემის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, გვ21 ბაზარზე შესვლა, https://drive.google.com/file/d/1yT4VT1ohCtvnFrrsP6RnlPUv53lqYCWV/view (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

კონკრეტულად განხილულია საბუღალტრო, შრომითი, პერსონალური ინფორმაციის დაცვისა და სხვა რეგულაციები.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ პრობლემების გადაჭრა მეტად მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ისე ბიზნეს სექტორის განვითარებისთვის. ამიტომ აუცილებელია სათანადო მიდგომის პოვნა მათ გადასაჭრელად. ერთ-ერთი ასეთი გზა შეიძლება იყოს ტექნოლოგიების გამოყენება. დღეს ხელოვნური ინტელექტი და თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდება. ამ ციფრული ინოვაციების გამოყენებით შესაძლებელია რუტინული პროცესების და მცირე ბიზნესისთვის ხელმიუწვდომელი მომსახურებების ავტომატიზაცია და პროგრამებით ჩანაცვლება. პრობლემის ამდაგვარი გადაჭრით მცირე ბიზნესები უფრო სტაბილურები და ტექნოლოგიურად განვითარებულები იქნებიან. ხოლო თუ აღნიშნული ტექნოლოგიების შექმნა ადგილობრივად მოხდა, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს ციფრული სექტორისთვისაც. ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია მცირე ბიზნესებისთვის შეიძლება გახდეს ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს იურიდიული, ფინანსური და მარკეტინგული ოპერაციების ავტომატიზაციის გზით შეამცირონ ოპერაციული ხარჯები. თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რამდენად ამძაფრებს ტექნოლოგიური განვითარების ასიმეტრია მცირე და დიდ ბიზნესებს შორის არსებულ კონკურენციას.

II. ტექნოლოგიების გამოყენება რეგულირების სფეროებში

ბიზნესებს შორის კონკურენციაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სფეროში არსებული რეგულაციები და ამ რეგულაციებით გათვალისწინებული საკანონმდებლო ვალდებულებები. იმ სირთულეების გადაჭრა, რომელთაც მცირე ბიზნესები

მარეგულირებელი ნორმების აღსრულებისას აწყდებიან, სხვადასხვა სახის ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებითაა შესაძლებელი.

1. საბუღალტრო და ფინანსური ანგარიშგება

მცირე ბიზნესები ვალდებული არიან, აწარმოონ საბუღალტრო და ფინანსური აღრიცხვა და შეინახონ საგადასახადო დეკლარაციები.[4] ეს კომპლექსური პროცესები მცირე ბიზნესებისთვის რთული სამართავია, რადგან მფლობელებს უწევთ ან თავად აწარმოონ ბუღალტერია, ან მოიძიონ ბუღალტერი. პირველ შემთხვევაში მფლობელებს უწევთ ყოველთვიურად საკუთარი დრო და ენერგია ჩადონ დოკუმენტაციის წარმოებაში, რაც რისკებთანაა დაკავშირებული, რადგანაც ხშირად ისინი მოკლებულნი არიან პროფესიულ ცოდნას. წარმოებისა და თანამშრომლების ზრდასთან ერთად იზრდება სავალდებულო დოკუმენტაციების სია და გასათვალისწინებელი რეგულაციები. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მუდმივი ბუღალტრის ყოლა, ან საჭიროების შემთხვევაში აუთსორსინგი, ეს ვარიანტი კი დამატებით ფინანსურ ხარჯთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, არახელსაყრელია.

ამ პრობლემის გადაჭრა შედარებით მარტივად შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.[5] მათზე მორგებული პროგრამებით მცირე ბიზნესებს შეუძლიათ ავტომატურად აწარმოონ კანონმდებლობის შესაბამისი ანგარიშგება და უფრო მეტიც, შესაძლებელია რეგულარული გადასახადების ავტომატიზაცია, რაც მცირე ბიზნესებს დაიცავს დაგვიანებული გადახდით გამოწვეული პრობლემებისგან.

2. მომხმარებელთა უფლებები და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

[4] იხ. შემოსავლების სამსახური, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საგადასახდო ანგარიშგება და ვალდებულებები, https://www.rs.ge/PersonsPreferentialTax?cat=2&tab=1 (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[5] მაგალითად, ფინტექ პროგრამებით, Stripe, Square, PayPal for Businesses

მომხმარებლების უფლებების და ინტერესების დასაცავად არაერთი რეგულაცია არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში. ბიზნესები და მეწარმეები ვალდებული არიან, ზედმიწევნით აღასრულონ ეს რეგულაციები, რაც მცირე ბიზნესებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. კანონები მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ არის ის ძირითადი რეგულაციები, რომლებიც იცავს მომხმარებლებს. მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მომხმარებლის დეტალური ინფორმირება პროდუქტსა თუ მომსახურებაზე, მომხმარებლის მიერ პროდუქციის დაბრუნების და მომსახურებაზე უარის თქმის უფლება[6]. რაც შეეხება კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, ის იცავს მომხმარებლების მონაცემების ლეგიტიმურად და სამართლიანად შეგროვებას და დამუშავებას.[7] მოცემული რეგულაციების აღსრულება უფრო მეტად კომპლექსური და შრომატევადი ხდება მცირე ბიზნესებისთვის. ბიზნესები ვალდებული არიან, მონაცემები შეაგროვონ მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისთვის. ამასთან სავალდებულოა ამ მონაცემების მუდმივი განახლება, მხოლოდ გარკვეული ვადებით შენახვა[8]. მაგალითად, თუ ბიზნესს აქვს როგორც ფიზიკური, ისე ონლაინ მაღაზია, ის მონაცემები, რომლებსაც მომხმარებლებისგან შეაგროვებს განსხავებული იქნება.

ამ გამოწვევების გამარტივება შესაძლებელია სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით. დაბრუნების პროცესების გამარტივება შესაძლებელია ინვოისების ან თანხის დაბრუნების ავტომატური დამუშავებით. მომხმარებლის მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას მცირე ბიზნესების ნაწილი წერილობით ახდენს, რაც მოსახერხებელი, მაგრამ ნაკლებად დაცულია. ამ პროცესის ელექტრონიზაცია, ერთი მხრივ,

---

[6] საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5420598?publication=3 (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[7] საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=5 (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[8] იქვე.

გაამარტივებს მხოლოდ სავალდებულო ინფორმაციის შეგროვებას, მეორე მხრივ, მთლიან პროცესს უფრო სწრაფს და დაცულს გახდის.

3. პროდუქციის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

კიდევ ერთი გამოწვევა, სადაც მცირე ბიზნესებს შეუძლიათ ტექნოლოგიების გამოყენება, არის სურსათის უვნებლობისა და გარემოს დაცვის რეგულაციების აღსრულება. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ არეგულირებს საწარმოების მიერ უსაფრთხო პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვას. კოდექსის მიხედვით, ბიზნესები HACCP სისტემით უნდა აანალიზებდნენ სურსათის უვნებლობას და პოტენციურ საფრთხეს, ასევე უნდა აწარმოონ სწორი ეტიკეტირება და იქონიონ სტანდარტების შესაბამისი საწარმოო სივრცე.[9] ჩამოთვლილი და სხვა პუნქტები, რომლებიც კანონში შედის, რეგულარულად აღსასრულებელია და ბევრ სხვადასხვა დეტალს მოიცავს. ამ სფეროში სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებაა შესაძლებელი. მაგალითად, პოტენციური საფრთხეების გასაანალიზებლად მცირე ბიზნესებს შეუძლიათ ხელოვნური ინტელექტის, ხოლო სურსათის უსაფრთხო შენახვისთვის ჭკვიანი მაცივრებისა და ეტიკეტების გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს პროცესს.

წლების განმავლობაში ადამიანის საქმიანობით ეკოლოგიაზე მიყენებული ზიანის შესამცირებლად და გარემოს დასაცავად ბიზნესებისთვის დადგენილია რეგულაციები, რომელთა შესრულებასაც მათ გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობა ავალდებულებს. კანონი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის რეგულაციები, გამონაბოლქვის კონტროლი, წყლის რესურსების დაცვა და ენერგოეფექტურობა.[10]

---

[9] იხ. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 17[1].

[10] იხ. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=34 (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

რეგულაციების ზედმიწევნით შესრულება მნიშვნელოვანია როგორც გარემოს დასაცავად, ისე ჯარიმის თავიდან ასარიდებლად, მაგალითად, მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება 80-დან 1500 ლარამდე მერყეობს[11], ხოლო სახიფათო ნარჩენების მართვის რეგულაციების შეუსრულებლობა 1000-დან 1500 ლარამდე ჯარიმას[12]. მცირე ბიზნესებს შეუძლიათ ჭკვიანი აპარატურისა და სენსორების მონტაჟი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია საქმიანობის კონტროლი და ენერგიის ეკონომიური მოხმარება, რაც, ჯარიმების თავიდან არიდების გარდა, შესაძლებელს გახდის ელექტროენერგიაზე თანხის დაზოგვას.

4. HR მენეჯმენტი

ყველა ბიზნესი ვალდებულია, დაიცვას საკუთარი თანამშრომლების შრომითი უფლებები და შეასრულოს „საქართველოს შრომის კოდექსის“ მიერ დადგენილი მოთხოვნები. კოდექსით გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მაქსიმუმ 40 სამუშაო საათი კვირაში, სავალდებულო დასვენების დღე, არანაკლები 24 კალენდარული დღე დასვენება და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პირობები.[13] მოცემული კოდექსით გათვალისწინებული პროცესების შესრულება და ავტომატიზება შესაძლებელია სხვადასხვა სახის პროგრამით. მაგალითად, სამუშაო გრაფიკის და ნამუშევარი საათების განსაზღვრა და კონტროლი. მსგავსი პროგრამები ავტომატურად განსაზღვრავენ თანამშრომლების ნამუშევარ ნორმირებულ და ზეგანაკვეთურ საათებს და გამოითვლიან შესაბამის ანაზღაურებას, ბონუსებსა და პრემიას. IoT ტექნოლოგიების გამოყენებით ასევე შესაძლებელია კონტროლირებადი უსაფრთხო გარემოს შექმნა.

---

[11] იხ. ნარჩენების მათვის კოდექსი, თავი X მუხლი 31, https://matsne.gov.ge/ka/document/download/2676416/7/ge/pdf (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[12] იხ. ნარჩენების მათვის კოდექსი, თავი X მუხლი 36, https://matsne.gov.ge/ka/document/download/2676416/7/ge/pdf (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

[13] იხ. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=28 (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

5. იურიდიული მომსახურება

ბიზნესის მართვა საქმიანობის დაწყებამდეც კი, მრავალი იურიდიული დეტალისგან შედგება. ბიზნესის რეგისტრაციისას გასათვალისწინებელია სამართლებრივი ფორმის არჩევა, სახელწოდების რეგისტრაცია და საჭირო ლიცენზიების მოპოვება. ბიზნესები ასევე გამუდმებით დებენ ხელშეკრულებებს თანამშრომლებთან და დისტრიბუტორებთან. ზოგი ბიზნესის საქმიანობისას ასევე გასათვალისწინებელია პატენტზე განაცხადის შეტანა ან ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ასევე იურიდიული მომსახურების ქონა მნიშვნელოვანია სამართლებრივი დავების მოსაგვარებლად და, ზოგადად, არსებულ რეგულაციებში გასარკვევად და აღსასრულებლად. თუმცა მსგავსი კომპლექსური და მრავლის მომცველი მომსახურება დიდ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამის გარდა, იურიდიული მომსახურება და პროცესები ძირითადად ხანგრძლივია. მსგავსმა პრობლემებმა ნებისმიერ, განსაკუთრებით მცირე, ბიზნესს შეიძლება მიაყენოს სერიოზული ფინანსური ზიანი.

ამ გამოწვევის მარტივად გადაჭრა შეიძლება იურიდიული პროგრამის გამოყენებით, რომელიც მოკლე დროში, ხელმისაწვდომ ფასად ავტომატურად შეადგენს ხელშეკრულებებს, მიაწვდის საკანონმდებლო ინფორმაციას და დაეხმარება ბიზნესს სამართლებრივი დავების მოგვარებაში. ლიგალტექის გამოყენებით შესაძლებელია ისეთი სამართლებრივი სერვისების მიღება, როგორებიცაა სამართლებრივი დოკუმენტების ავტომატური მომზადება, მაგალითად სარჩელის, ადმინისტრაციული აქტის, საჩივრების. ასევე, კერძო კომპანიებისთვის შესაძლებელია ჩატ-ბოტ ფუნქციით სარგებლობა.[14] ბოტის გამოყენებით კომპანიებს შეუძლიათ ავტომატური და სინქრონული სამართლებრივი კონსულტაციის მიღება. ლიგალტექი იძლევა შესაძლებლობას, რომ კომპანიამ აუთსორსინგის გარეშე უზრუნველყოს

[14] *ხაბუა/სირდაძე*, სართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 7/2022, 1.

სამართლებრივი შესაბამისობა, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და პროცესების მართვა.[15] ლიგალტექ პროგრამების გამოყენება ეხმარება არა მხოლოდ იურიდიულ ფირმების, არამედ სხვა ბიზნესებისაც. სამართლის დიგიტალიზაცია მცირე ბიზნესებისთვისაც სარგებლიანია და სამართლებრივი პრობლემების მარტივად გადაჭრის კარგ მეთოდს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ლიგალტექი შედარებით ახალი დარგია, უკვე არსებობს ისეთი პროგრამები, როგორიცაა, მაგალითად, Logos, რომელთაც შეუძლიათ განსაკუთრებით კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების ანალიზი და იურიდიული მომსახურების სრული ავტომატიზირება.[16] მსგავსი პროგრამების გამოყენებით, მცირე ბიზნესებს მარტივად შეუძლიათ თავი გაართვან სამართლებრივ გამოწვევებს.

6. საკანონმდებლო მოთხოვნების ანალიტიკა

როგორც წინა პუნქტებშიც გამოიკვეთა, მცირე ბიზნესებისთვის სერიოზული გამოწვევაა აღსასრულებელი რეგულაციების ცოდნა. განსაკუთრებით, როდესაც საქართველოში შრომის ეთიკა და ბიზნეს რეგულაციები ჯერ კიდევ ვითარდება. ზოგადად, მსოფლიო მასშტაბით უახლესი საკანონმდებლო გამოწვევაა AI-ს გამოყენების რეგულაცია და გარემოზე მიყენებული ზიანის მინიმალიზება. ეს გამოწვევები ცხადია ქართულ მცირე ბიზნესებსაც შეეხება, რაც კიდევ უფრო გაზრდის იმ საკითხების სიას, რომლებზეც განახლებული და დეტალური ინფორმაცია მუდმივად უნდა ჰქონდეთ ბიზნესის მფლობელებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინფორმაციის რეგულარულად მიღების სახელმწიფო და კერძო წყაროები, ასევე არსებობს დიდი მოცულობის ინფორმაციის ანალიზის საჭიროება. ვრცელი

[15] *ხაბუა/სირდაძე*, სართლის ტექნოლოგიები (ლიგალტექი) საქართველოში, მათი გამოყენება კერძო კომპანიებსა და საჯარო უწყებებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 7/2022, 7.
[16] პროგრამა logos-სთან დაკავშირებით იხ. Rulemapping Group, https://rulemapping.com/de (უკანასკნელად ნანახია 20.04.2025).

კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ბაზრის ახალი გამოწვევების ანალიზი მცირე ბიზნესის გამოუცდელი მფლობელებისთვის რთულია. ამ პრობლემის გადაჭრა ზემოხსენებული ტექნოლოგიების დანერგვით იქნება შესაძლებელი. მაგალითად, საბუღალტრო პროგრამა ავტომატურად გაითვალისწინებს და აცნობებს ბიზნესის მმართველს საგადასახადო სისტემაში შეტანილი ცვლილებების შესახებ. იდენტური იქნება სხვა პროგრამებიც, რომლებიც, მათი სპეციფიური საქმიანობის შესრულების გარდა, ინფორმაციის მიწოდების ჯაჭვშიც იქნება ჩართული.

III. ტექნოლოგიის გამოყენების უარყოფითი გავლენა კონკურენციაზე

ტექნოლოგიების მსგავსი გამოყენება, თავის მხრივ, კონკურენციის გამოწვევებთან არის დაკავშირებული. დიდი ბიზნესებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ყველა ის ტექნოლოგია, რომლებსაც მცირე ბიზნესები გამოიყენებენ და დამატებით ასევე უფრო კომპლექსური და ძვირადღირებული პროგრამები. ეს როგორც კონკურენციაზე, ისე პროგრამების საბაზრო ფასის დადგენაზე იმოქმედებს, რაც შესაძლოა მცირე ბიზნესებს კიდევ უფრო დიდ პრობლემად ექცეს. ამ ახალი გამოწვევის გადაჭრა ისე უნდა მოხდეს, რომ საფრთხე არ დაემუქროს ბიზნესის თავისუფლებას. ცხადია, როდესაც მოთხოვნა მიწოდებას აღემატება, ეს მოკლე ვადებში ფასის ზრდას იწვევს, რაც მცირე ბიზნესებისთვის არახელსაყრელია. თუმცა დროთა განმავლობაში მიწოდებაც მოთხოვნის შესაბამისად იზრდება და ფასი რეგულირდება.[17] შესაბამისად, ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ბაზრის დივერსიფიკაცია იქნება. ბაზრის დივერსიფიკაციის არაერთი გზა არსებობს, პირველ რიგში, მეტად სავარაუდოა, რომ ეს თავისთავად მოხდება. როგორც ყველა სხვა, ტექნოლოგიური ინოვაცია უახლოეს მომავალში ფართოდ გავრცელებული და ხელმისაწვდომი იქნება.

[17] *Fontana /Palacio-Vera,* Are Long-Run Price Stability and Short-Run Output Stabilization All That Monetary Policy Can Aim For, Metroeconomica 58/2007, 269.

მაგრამ შესაძლებელია ამ პროცესის დაჩქარება. რადგან მოთხოვნა ამ ტექნოლოგიებზე უკვე არსებობს, ახლა პრიორიტეტი მიწოდების ძლიერი ჯაჭვის შექმნაა. ამის მიღწევა ყველაზე მარტივად სახელმწიფო ჩარევით არის შესაძლებელი, მაგალითად, დეველოპერების წახალისებით.[18] სხვადასხვა სახის სუბსიდირებით შესაძლებელი იქნება მსგავსი პროგრამების შექმნის და დანერგვის დაჩქარება, იქნება ეს სექტორული, ფინანსური თუ საგადასახადო სუბსიდირება. ასევე, როგორც სხვა ბაზრებზე ხდება, შესაძლებელია პროგრამების დაყოფა ხელმისაწვდომობისა და საჭიროების მიხედვით. რადგან მცირე ბიზნესები დიდ ბიზნესებთან შედარებით ნაკლები დატვირთვით გამოიყენებენ ამ პროგრამებს, შესაძლებელია მათზე მორგებული ტექნოლოგიების შედარებით დაბალ ფასად მიწოდება. ეს შესაძლებელს გახდის როგორც დიდმა, ისე მცირე ბიზნესებმა მიიღონ საჭირო ტექნოლოგიური მომსახურება და ამავდროულად დეველოპერებმა მიიღონ ადეკვატური ანაზღაურება.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შესაძლებელია დიდი ბიზნესების მიერ ტექნოლოგიების ისე გამოყენება, რომ მცირე ბიზნესებს კონკურენციის გაწევა კიდევ უფრო მეტად გაურთულდეთ. მაგალითად, სურსათის უვნებლობისა და გარემოს დაცვითი რეგულაციების შესასრულებლად საჭირო ჭკვიანი ტექნიკა და სენსორული აღჭურვილობა დიდ ფინანსურ რესურსთან არის დაკავშირებული. ასევე დიდ ბიზნესებს უფრო მარტივად შეუძლია დეველოპერების დაინტერესება პროგრამების დასანერგად და თანამშრომლების ადაპტაცია. ამის გარდა, ტექნიკურმა პრობლემებმა ნებისმიერ დროს შეიძლება იჩინოს თავი. ამ სირთულის დაძლევა დიდი ბიზნესებისთვის უფრო მარტივი იქნება, რადგან მათ უმრავლესობას უკვე ჰყავს შესაბამისი ტექნიკური პერსონალი. მცირე ბიზნესები კი იძულებულები იქნებიან გაუთვალისწინებლად გაიღონ დამატებითი ხარჯები პრობლემების

[18] სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით იხ., მაგალითად, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, https://gita.gov.ge/ (უკანასკნელად ნანახია: 20.04.2025).

აღმოსაფხვრელად. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნის ციფრული სექტორის განვითარება და ტექნოლოგიების ხარისხის გაუმჯობესება.

IV. დასკვნა

მცირე ბიზნესები გამუდმებით აწყდებიან სირთულეებს როგორც დიდ ბიზნესებთან კონკურენციისას, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში. სტატიაში განხილული პრობლემები კონკრეტულად ეხება მცირე ბიზნესების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების ზედმიწევნით აღსრულებას. არსებული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბიზნესების მფლობელებისთვის, არამედ საქართველოს ბიზნეს სექტორის და ეკონომიკის განვითარებისთვისაც. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თანამედროვე ტექნოლოგიები და ბიზნეს პროცესების დიგიტალიზაცია. მსგავსი ინსტრუმენტები ხელმისაწვდომს გახდის ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა საბუღალტრო, იურიდიული, HR და სხვა სერვისები, რომლებიც სტანდარტულ პირობებში მცირე ბიზნესებისთვის რთული მისაღებია. ცხადია მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვა ასოცირდება ისეთ გამოწვევებთან, როგორებიცაა ბიზნესების ტექნიკური მზაობა და პროგრამების თავდაპირველი მაღალი ფასები, თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ გამოწვევების დაძლევა მხოლოდ დროისა საკითხია და შეიძლება დაჩქარდეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის შემთხვევაში. მსგავსი ტექნოლოგიური მიდგომა ორმაგ სარგებელს მოიტანს ქვეყნისთვის. კერძოდ, არა მხოლოდ მცირე ბიზნესებს შეეწყობათ ხელი, ასევე მოხდება ქვეყნის ტექნოლოგიური სექტორის განვითარებაც. სტატიაში განხილული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და პროცესების დიგიტალიზაცია მრავალმხრივ სარგებლიანი იქნება საქართველოსთვის და მცირე ბიზნესისთვის.